

შპს „გეოტექსერვისი“

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "გეოტექსერვისი"			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
ერთეული: 1 GEL			
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	31.12.2018	31.12.2017	
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	607903	659691	
ფულადი სახსრები	83689	109535	3.1
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	404421	409313	3.2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	1996	631	
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1500	6371	
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	71684	82602	3.3
წინასწარ გადახდილი გადასახადები	44613	51239	
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	444953	481179	
ძირითადი საშუალებები	444953	481179	3.4
სულ აქტივები:	1052856	1140870	
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>ვალდებულებები, სულ:</i>	72579	31039	
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4513	2988	
საგადასახადო ვალდებულებები	61081	25870	
სხვა ვალდებულებები	6985	2181	3.5
<i>სულ კაპიტალი:</i>	980277	1109831	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	2100	2100	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	978177	1107731	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	1052856	1140870	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.			
დირექტორი _____	გიორგი ბენდუქიძე		
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "გეოტექსერვისი"		
მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება		
		ერთეული: 1 GEL
	საანგარიშგებო პერიოდი	შენიშვნა
	2018	
ამონაგები	1201944	3.6
სულ საოპერაციო შემოსავლები:	1201944	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-735932	3.7
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	-54457	3.8
სულ საოპერაციო ხარჯები:	-790389	
დადებითი საკურსო სხვაობები	27	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	7	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	34	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-3008	
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-6652	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-9660	
მოგება დაბეგვრამდე:	401929	
მოგების გადასახადის ხარჯი	-51483	
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	350446	3.9
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:		
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	350446	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1109831	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):	-480000	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	350446	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	980277	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.		
დირექტორი _____	გიორგი ბენდუქიძე	
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

შპს "გეოტექსერვისი"		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
		ერთეული: 1 GEL
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2018	2017
ს ა ო პ ე რ ა ც ი ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა:		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	1412231	2720124
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-633925	-1380844
სხვა	-269840	-671419
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	508466	667861
გადახდილი მოგების გადასახადი	-49415	-8430
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	459051	659431
ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ოს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა:		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისათვის	-26805	-71930
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-26805	-71930
ს ა ფ ი ნ ა ნ ს ოს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა:		
დივიდენდების გადახდა	-456000	-738234
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-456000	-738234
ფულადი სახსრების შემოსვლა ან გასვლა წლის განმავლობაში	-23754	-150733
სავალუტო კურსის ეფექტი	-2092	321
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისისათვის	109535	259947
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოსათვის:	83689	109535
<i>ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.</i>		
დირექტორი _____		გიორგი ბენდუქიძე
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „გეოტექსერვისი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2003 წლის 04 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 200087707, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, მირიან მეფის ქ. # 110. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის წილის მფლობელები არიან:

- 1) გიორგი ბენდუქიძე (პ/ნ 01020006642) 25 %,
- 2) გიორგი ტლაშაძე (პ/ნ 01023005252), 25%;
- 3) სერგო ღაღანიძე (პ/ნ 01022005110) 25%,
- 4) გიორგი ნაცვლიშვილი (პ/ნ 01021008500) 25%.

1.3. კომპანიის დირექტორია გიორგი ბენდუქიძე (პ/ნ 01020006642).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საინჟინრო საქმიანობები და მათთან დაკავშირებული ტექნიკური კონსულტირება.

1.5. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხვი 2018 წელს შეადგენდა 36 კაცს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მომსახურე აუდიტური ფირმა.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის

განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის

უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი 2018 წელს შეადგენდა:

1 USD=2.5345 ლარი; 1 EUR=2.9940 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	11191	28670
ლარი საბანკო ანგარიშებზე	72443	40036
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	55	32611
ევრო საბანკო ანგარიშებზე		8218
სულ:	83689	109535

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

2018 წლის ბოლოს არსებული კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები შეადგენდა 458762 ლარს, რომლიდანაც 54352 ლარი (3 დებიტორის დავალიანება) აღიარებულია 2016 წელს საექვო ვალეზად და მათი ამოღების (დაფარვის) მიზნით მიმდინარეობს სასამართლო დავები.

3.3. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი		
საწვავ-საცხები მასალები	8855	15637
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	62829	66965
სულ:	71684	82602

3.4. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიწა	43680			42455
შენობები	146404		10236	156640
ნაგებობები	136640		6147	142787
კომპიუტერები და აღჭურვილობა	15973		9045	25018
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2134		2238	4372
სატრანსპორტო საშუალებები	62042		19659	81701
სპეციალური ინსტრუმენტები	20270	3761	9195	25704
სხვა ამორტიზ. ძირითადი საშუალება	17809	22158	6850	2501.26
სულ:	444953	25919	63370	481179

3.5. სხვა ვალდებულებები

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიღებული ავანსები	6985	
ვალდებულებები ანგარიშვალდებული პირების მიმართ		2181
სულ:	6985	2181

3.6. სულ საოპერაციო შემოსავლები:

2018 წლის შემოსავლები - 1201944 ლარი მთლიანად მიღებულია კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობიდან. მათგან, დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვაა - 1107138 ლარი, ხოლო გათავისუფლებული ბრუნვის (ჩათვლის უფლებით) - 94806 ლარი.

3.7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	505336
ცვეთა და ამორტიზაცია	63370
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	4429
ავტოტრანსპორტის საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	75164
საკომუნიკაციო ხარჯები	9990
საბანკო ხარჯები	1480
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	76163
სულ:	735932

3.8. სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები

	2018 წელი
საწარმოო დანიშნულების მომსახურება	12524
დამხმარე მასალების ხარჯები	7125
საწარმოო რემონტის ხარჯები	25341
სხვა საწარმოო ხარჯები	9467
სულ:	54457

3.9. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად განაწილების (დივიდენდებად გაცემის) თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა.

კომპანიის 2018 წლის ფინანსური შედეგი - 401929 ლარი შემცირებულია იმ მოგების გადასახადის ხარჯით - 51483 ლარი, რომელიც წარმოიშვა 2016-2017 წლების მოგებიდან 480000 ლარის დივიდენდებად გაცემის შედეგად (დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ შესაბამისად) 2018 წელს. 2018 წლის მოგება არ განაწილებულა. ასევე, გაუნაწილებელია 2017 წლის მოგების ნაწილი.

3.10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.


შპს "გეოტექსერვისი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	31.12.2018	31.12.2017	
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	607903	659691	
ფულადი სახსრები	83689	109535	3.1
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	404421	409313	3.2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	1996	631	
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1500	6371	
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	71684	82602	3.3
წინასწარ გადახდილი გადასახადები	44613	51239	
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	444953	481179	
ძირითადი საშუალებები	444953	481179	3.4
სულ აქტივები:	1052856	1140870	
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>ვალდებულებები, სულ:</i>	72579	31039	
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4513	2988	
საგადასახადო ვალდებულებები	61081	25870	
სხვა ვალდებულებები	6985	2181	3.5
<i>სულ კაპიტალი:</i>	980277	1109831	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	2100	2100	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	978177	1107731	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	1052856	1140870	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი _____  _____ გიორგი ბენდუქიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "გეოტექსერვისი"


მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	შენიშვნა
	2018	
ამონაგები	1201944	3.6
სულ საოპერაციო შემოსავლები:	1201944	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-735932	3.7
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	-54457	3.8
სულ საოპერაციო ხარჯები:	-790389	
დადებითი საკურსო სხვაობები	27	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	7	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	34	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-3008	
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-6652	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-9660	
მოგება დაბეგვრამდე:	401929	
მოგების გადასახადის ხარჯი	-51483	
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	350446	3.9
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:		
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	350446	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1109831	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):	-480000	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	350446	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	980277	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი _____



_____ გიორგი ბენდუქიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.


შპს "გეოტექსერვისი"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2018	2017
ს ა ო პ ე რ ა ც ი ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა:		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	1412231	2720124
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-633925	-1380844
სხვა	-269840	-671419
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	508466	667861
გადახდილი მოგების გადასახადი	-49415	-8430
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	459051	659431
ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ოს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა:		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისათვის	-26805	-71930
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-26805	-71930
ს ა ფ ი ნ ა ნ ს ოს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა:		
დივიდენდების გადახდა	-456000	-738234
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-456000	-738234
ფულადი სახსრების შემოსვლა ან გასვლა წლის განმავლობაში	-23754	-150733
სავალუტო კურსის ეფექტი	-2092	321
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისისათვის	109535	259947
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოსათვის:	83689	109535

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი _____  _____ გიორგი ბენდუშვიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.